



პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

15.02.2017

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს წარუდგინა დასკვნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, რომლის საკომიტეტო მოსმენა იგეგმება მიმდინარე წლის 16 თებერვალს.

აღნიშნული დასკვნით შეფასებულია პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების ზეგავლენა სახელმწიფო შესყიდვების სფეროზე. საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით არაერთი კრიტიკული მოსაზრება გამოთქმულა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმების შედეგად მომზადებულ ანგარიშებსა და დასკვნებში. შესაბამისად, პოზიტიურად უნდა შეფასდეს გამოვლენილი დარღვევებისა და გადაცდომების აღმოფხვრისკენ მიმართული კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი რეგულაციები. ამასთანავე, დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია რისკფაქტორებსა და რეკომენდაციებზე, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია სახელმწიფო შესყიდვებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.